# ფეხბურთი

# ФУТБОЛ

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი

Тбилисский стадион „Локомотив"

# ცენტრალური მატჩი

ბოლო 3 წლის მანძილზე მოსკოვის არმიელთა კოლექტივი თავისებურ საფეხბურთო ამოცანად იქცა. 1969 წელს ცსკა-მ საკავშირო ჩემპიონატში მხოლოდ VI ადგილი დაიკავა და, სიმართლე რომ ითქვას, არ გამოირჩეოდა რაიმე განსაკუთრებული მონაცემებით. მაგრამ გავიდა ერთი წელი და გუნდი სულ სხვა როლში მოგვევლინა. იგი მოსკოვის „დინამოსთან" ერთად ლიდერობდა მთელი სეზონის განმავლობაში და ამ ორი გუნდის მეტოქეობა საბოლოოდ დამთავრდა, იმით, რომ მათ ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს — 45 თითოეულმა. გამეორდა 1964 წლის ისტორია, როცა სსრ კავშირის ჩემპიონის გამოსავლენად საჭირო გახდა დამატებითი მატჩის ჩატარება თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" შორის.

ისევე, როგორც მაშინ, გადამწყვეტი მატჩი დაინიშნა ტაშკენტის „ფახტაქორის" სტადიონზე. ოქროს მედლების პრეტენდენტებმა პირველ დღეს, 5 დეკემბერს, დამატებითი დროის მიუხედავად ვერ გაარკვიეს ურთიერთ „დამოკიდებულება" და ფრედ ითამაშეს — 0:0. საჭირო შეიქნა ხელმეორე მატჩის ჩატარება 6 დეკემბერს და არმიელებმა, რომლებიც პირველ ტაიმს აგებდნენ ანგარიშით 1:3, შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში და საბოლოოდ გაიმარჯვეს ანგარიშით 4:3.

19 წლის შესვენების შემდეგ ცსკა კვლავ ჩემპიონი გახდა! თითქოს, ყველაფერი გაირკვა, 40-იანი წლების ბრწყინვალე გუნდმა კვლავ დაიბრუნა თავისი ადრინდელი დიდება და ისევ ჩადგა ფავორიტთა რიგებში. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ცსკა-მ ძალზე სუსტად ჩაატარა შარშანდელი სეზონი, ერთიანად დაკარგა თავისი საჩემპიონო თვისებები და ჩემპიონატის მსვლელობაში იყო პერიოდები, როცა მას უმაღლესი ლიგიდან განდევნის აშკარა ხიფათიც კი ემუქრებოდა. სსრ კავშირის ჩემპიონი — I ლიგაში! ამ უსიამოვნო პერსპექტივას გუნდმა დიდი გაჭირვებით დააღწია თავი და, როგორც იქნა, შეინარჩუნა პოზიციები უძლიერესთა რიგებში. იგი საბოლოოდ XII ადგილზე დამკვიდრდა.

წლეულს ცსკა-მ კვლავ ახალი სიურპრიზი შემოგვთავაზა და სეზონის სტარტზე საუკეთესოდ ჩატარებული მატჩების შემდეგ ლიდერთა შორის იმყოფება. ასე, სულ 3 წლის მანძილზე, არმიელებმა თავბრუდამხვევი ნახტომები გააკეთეს გათამაშების ცხრილში, ხან მის სათავეში იყვნენ, ხანაც აუტსაიდერთა შორის.

ახლა, როგორც ჩვენი ცხრილიდანაც ჩანს, ცსკა ლიდერთა შორისაა და ამდენად, ჩემპიონობის ერთ-ერთი კანდიდატიც. შეიძლება ითქვას, არც ერთ გუნდს არ გააჩნია თანაბარი ძალის შემცვლელ მოთამაშეთა ისეთი „გრძელი სკამი", როგორიც არმიელებს. კარს მორიგეობით იცავს ორი გამოცდილი, მაღალი კლასის მეკარე — ვ. ასტაპოვსკი და ლ. შმუცი. გუნდი ყოველთვის გამოირჩეოდა დაცვის ძლიერი ხაზით, სადაც თამაშობენ ნაკრების წევრები ი. ისტომინი, ვ. კაპლიჩნი, აგრეთვე ვ. ზვიაგინცევი, ვ. პაბენკო, გ. იანეცი, ი. ჟუკოვი, ხოლო ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მის რიგებს დაუბრუნდა წამყვანი მოთამაშე, ცენტრალური მცველი ა. შესტერნიოვი.

ფართო სამოქმედო დიაპაზონის, მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს გუნდს შუა მინდორში. ისინი თანაბარი სიძლიერით თამაშობენ დაცვაშიც და აქტიურად მონაწილეობენ საიერიშო კომბინაციებშიც. ვ. ფედოტოვის, ვ. პოლიკარპოვის, ვ. უტკინის, ნ. დოლგოვის, ფ. ხისამუტდინოვის სახელებს კარგად იცნობენ თბილისელი ფეხბურთის მოყვარულნი.

იშვიათად ტოვებს მინდორს ცსკა-ს თავდასხმა ისე, რომ გოლი არ გაიტანოს. ბ. კოპეიკინი, ვ. ჟიგუნოვი, ვ. დუდარენკო ვ. დოროფეევი ქმნიან სწრაფ, შეთამაშებულ, აგრესიულ რგოლს, რომელიც ხშირად ქმნის სახიფათო მომენტებს მოწინააღმდეგეთა კართან და ზუსტი დარტყმით ამთავრებს თავის იერიშებს, ხოლო ახალგაზრდა ფორვარდი ვ. ტელინგერი, რომელიც წლეულს შეემატა კოლექტივს, განსაკუთრებით გამოირჩევა მაღალი შედეგიანობით, გოლის გატანის შესანიშნავი ალღოთი. მიმდინარე ჩემპიონატის 10 მატჩში არმიელთა აქტივშია 13 ბურთი, რომელთაგან 3-3 მოდის პოლიკარპოვისა და ტელინგერის ანგარიშზე, 2 გაიტანა ფედოტოვმა და თითო — დოროფეევმა, დოლგოვმა, ხისამუტდინოვმა და კოპეიკინმა (ერთი ბურთი თავის კარში მოათავსა მოსკოვის „ტორპედოს" მცველმა პახომოვმა).

დღევანდელ თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე გუნდისთვის. ამიტომ ბრძოლას ექნება შეუპოვარი, უკომპრომისო ხასიათი.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია" | 12 | 8 | 2 | 2 | 19—[illegible] | 18 |
| „დინ." (თბ.) | 10 | 6 | 2 | 2 | 13—5 | 14 |
| ცსკა | 10 | 6 | 1 | 3 | 13—9 | 13 |
| „დნეპრი" | 11 | 3 | 6 | 2 | 11—12 | 12 |
| „სპარტაკი" | 10 | 4 | 3 | 3 | 10—9 | 11 |
| „დინ." (კ.) | 9 | 4 | 2 | 3 | 12—11 | 10 |
| „ზენიტი" | 10 | 3 | 4 | 3 | 12—11 | 10 |
| „ტორპედო" | 11 | 3 | 4 | 4 | 9—14 | 10 |
| „ნეფთჩი" | 10 | 3 | 3 | 4 | 8—9 | 9 |
| „დინ." (მნ.) | 10 | 2 | 5 | 3 | 8—10 | 9 |
| „კარპატი" | 11 | 3 | 3 | 5 | 8—10 | 9 |
| „არარატი" | 10 | 2 | 4 | 4 | 11—8 | 8 |
| „დინ." (მ.) | 8 | 3 | 2 | 3 | 9—10 | 8 |
| „ყაირათი" | 11 | 1 | 6 | 4 | 7—10 | 8 |
| „ლოკომოტ." | 10 | 2 | 4 | 4 | 7—11 | 8 |
| ასკ | 11 | 2 | 3 | 6 | 8—17 | 7 |

# ЦСКА

Армейская команда столицы — одна из сильнейших и популярнейших в стране. Организована она в 1923 году на базе футбольной команды общества любителей лыжного спорта, неоднократно меняла свое название (ОППВ, ЦДКА, ЦСК МО, с 1960 года — ЦСКА). Однако структурное построение коллектива, являющегося спортивным клубом военнослужащих, осталось без изменений.

В высшей лиге с весны 1936 года, за исключением 1952-53 годов.

Чемпион СССР 1946, 1947, 1948, 1950, 1951, 1970 годов (вместе с киевским «Динамо» является рекордсменом по количеству побед в чемпионатах — подряд 3 раза).

II призер 1938, 1945, 1949, III призер 1939, 1955, 1956, 1958, 1964, 1965 годов.

Обладатель Кубка СССР 1945, 1948, 1951, 1955, финалист 1944, 1967 годов.

В ЦСКА в разные годы выступали выдающиеся мастера советского футбола Г. Федотов, В. Бобров, И. Кочетков, В. Демин, А. Гринин, В. Николаев, В. Никаноров, К. Лясковский, Ю. Нырков, А. Башашкин, А. Петров, В. Пономарев, А. Шестернев, Ю. Истомин, В. Капличный, В. Поликарпов, В. Федотов и др.

Наставниками армейской команды в разные годы работали Б. Аркадьев, М. Рущинский, С. Бухтеев, Г. Пинайчев, К. Бесков, В. Соловьев, С. Шапошников, В. Бобров, В. Николаев.

## ВНОВЬ СРЕДИ ЛИДЕРОВ

19 лет ждали этого дня поклонники ЦСКА.

И дождались. Все мы были свидетелями триумфа армейцев 6 декабря 1970 года, когда на ташкентском стадионе «Пахтакор» они, проигрывая динамовцам Москвы в повторном дополнительном матче со счетом 1:3, сумели найти в себе силы внести перелом в ход игры и, забив подряд 3 мяча, победили со счетом 4:3. Армейский футбольный клуб был в шестой раз в своей истории провозглашен чемпионом страны.

И вот совершенно непонятный, необъяснимый спад в сезоне 1971 года. Речь идет не о том, что столичные армейцы потеряли звание чемпиона. С кем не бывает! Но очутиться с первого места сразу на двенадцатом, что-то такого не припомним. Вроде, и состав прежний, и руководство, а результат?..

Но этот футбольный курьез длился всего один сезон. Настал 1972 год и все стало на свои места. Армейцы быстро ликвидировали кризит, устранили недостатки, и заняли место там, где им подобает — в лидирующей группе. Сейчас ЦСКА, фактически является одним из основных претендентов на звание чемпиона СССР.

Вот почему сегодняшний матч имеет столь важное значение для обоих команд. Здесь может решится многое. Ведь и динамовцы Тбилиси, и армейцы Москвы в турнирной таблице находятся в непосредственной близости друг от друга (разница составляет всего 1 очко), среди лидеров, и победа одной из сторон дает ей значительное преимущество.

Наконец, о статистике: в матчах чемпионатов страны ЦСКА побеждал динамовцев 27 раз и проигрывал им 19 раз. 10 игр закончились вничью.


28 ИЮНЯ

НА НАШЕМ СТАДИОНЕ ОЧЕРЕДНОЙ МАТЧ

„ДИНАМО" (ТБИЛИСИ) — „ЗЕНИТ" (ЛЕНИНГРАД)

სსრ კავშირის პირველობა

«დინამო»
(თბილისი)
ცსკა
(მოსკოვი)

23
ივნისი
Июня

დასაწყისი
Начало в 19 30 საათზე
часов

Матч судит
А. ИВАНОВ (Ленинград)

**ПЕРВЕНСТВО СССР**

**„ДИНАМО"**
(Тбилиси)
**ЦСКА**
(Москва)

# 1972

ფასი 5 კაპ.

## ЦСКА

Старший тренер **В. НИКОЛАЕВ**
Капитан команды **А. ШЕСТЕРНЕВ**

1 Шмуц
3 Шестернев
4 Капличный
2 Уткин
5 Истомин
6 Хисамутдинов
7 Долгов
8 Жигунов
9 Копейкин
10 Поликарпов
11 Теллингер

11 Кипиани
10 Г. Нодия
9 Гуцаев
8 Мачаидзе
7 Асатиани
6 Гавашели
5 Петриашвили
2 Дзодзуашвили
4 Хурцилава
3 Челидзе
1 Гогия

## «ДИНАМО» (Тбилиси)

Старший тренер **Г. КАЧАЛИН**
Капитан команды **М. ХУРЦИЛАВА**

Цена 5 коп.

Заказ № 2180 Тираж 3000 УЭ 00381